თსუს მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმისა და ქალაქ ქუთაისის მოსწავლე ახალგზრდობის სახლის ერთობლივი მოსწავლთა მეორე რესპუბლიკური კონფერენცია ,,ხალხური მედიცინა- ქართული კულტურის საგანძური“ ჩატარდა 2023 წლის 11 მარტს.

კონფერენციის მიზანი გახლდათ -საქართველოს, როგორც უმდიდრესი და უძველესი სამედიცინო ტრადიციების მქონე ქვეყნის დამადასტურებელი ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და მატერიალური მასალების მოძიება, შეკრება და წარმოჩენა.

ჩვენ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის თემის საჯარო სკოლამ, კონფერენციის ხელმძღვანელებისგან მოწვევა მივიღეთ. შევქმენით გუნდი(მე-9 კლასის მოსწავლე ანანო პაპავა,მე-8 კლასის მოსწავლე მაქი გხარია,ხელმძღვანელ-პედაგოგები მაია მებონია და სოფიკო სორდია) და შევუდექით მუშაობას დასახული მიზნის მსაღწევად.

მოვიძიეთ ინფორმაცია კოლხური ყოჩივარდას შესახებ,რომელიც ხარობს მდინარე ხობისწყლის ხეობაში, ღუნჯას ჩანჩქერთან და არის ხალხურ მედიცინაში სხვადსხვა დანიშნულებით გამოყენებული მცენარე.

მოვიკვლიეთ წამლების ხალხური მეთოდებით დამამზადებელი ქალბატონი, 82 წლის გონა ლუკავა. მისი წამლის ერთ-ერთ ინგრედიანტად გამოიყნება ყოჩივარდას ბოლქვები. ის კურნავს ჰაიმორიტით, შაკიკით და ყურის ანთებით დავადებულებს.

განვახორცელთ მეორე პროექტიც კონფერენციაზე წარსადგენად. ამჯერად შევხვდით სოფლში მცხოვრებ შემლოცველებს. შელოცვის ფენომნალურობა დღემდე ამოუცნობია, ამდენად საინტერესო თემაა. ჩავიწერეთ რამდენიმე შელოცვის რიტუალი. გავიცანით საინტერესო ხანშიშესული ქალბტონები, რომლებსაც ეს შელოცვბი თავიანთი წინაპრებისგნ ჰქონდათ ნასწავლი. შელოცვის უკუკავშირი, ეწ.პაციენტის გამოჯანმრთელებაა, რაშიც გამოიხატება მისი ძალა.

ამავე პროექტის ფარგლებში მოვიკვლიეთ შინაური პირუტყვის დაავადებების განკურნების სხვადსხვა მეთოდი.

კონფერენციაზე წარდგნილი ჩვენი მასალები დადებითად შეაფასეს.მივიღეთ დიპლომები.

კონფერენციის ჩატარებისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია და ფოტომასალა გამოქვეყნებულ იქნა შპს. ''ეტალონის'' მიერ. იხ. ბმული

https://www.etaloni.ge/geo/main/index/84973